



საქართველოს თავდაცვის მინისტრის
მოადგილის

ბ რ ძ ა ნ ე ზ ა №

ქ.თბილისი



MOD 0 17 00000071

02/11/2017

სსიპ - გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმში სამეურვეო
საბჭოს არჩევნების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის მე - 4 პუნქტის და „სამხედრო მომზადებისა და განათლების განმახორციელებელ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სამეურვეო საბჭოს წევრების არჩევის, მათთვის უფლებამოსილების შეწყვეტისა და რეგისტრაციის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2011 წლის 7 ივნისის №435 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-15 მუხლის და „საქართველოს თავდაცვის მინისტრს, მინისტრის პირველ მოადგილესა და მინისტრის მოადგილეებს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2016 წლის 30 სექტემბრის N MOD 1 16 00000910 ბრძანების პირველი პუნქტის „გ.გ“ ქვეპუნქტის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სსიპ - გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმის (შემდგომი - ლიცეუმი) სამეურვეო საბჭოს არჩევნები ჩატარდეს 2017 წლის 24 ნოემბერს.
2. ლიცეუმის დირექტორმა (პოლკოვნიკი შ. ძინძიბაძე) უზრუნველყოს:
 - ა) სამეურვეო საბჭოს საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატთა რეგისტრაცია;
 - ბ) სამეურვეო საბჭოს არჩევნების ორგანიზებულად და მაღალხარისხიანად ჩატარება.
3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

მინისტრის მოადგილე
ნუკრი გელაშვილი